ხელშეკრულება N51
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. გორი

18 სექტემბერი 2017 წელი

ერთის მხრივ, **ა(ა)იპ "გორის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლების სისტემების რეგულირების და გარე განათების უზრუნველყოფის სამსახური"** (შემდგომში _ ,,შემსყიდველი'') **წარმოდგენილი დირექტორის ბონდო მარუაშვილის** სახით და მეორეს მხრივ, **შპს „თეგეტა-მოტორსი"** (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), **წარმომადგენელი გენერალური დირექტორის თემურ კოხოძის მინდობილი პირის (მინდობილობა: რეგისტრაციის #1319 გაცემული: 31.08.2017წ) გორის ფილიალის დირექტორის ვახტანგ ზივზივაძის სახით,** ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1" ქვეპუნქტით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია: შემსყიდველის სახსრებით ექსკავატორ-დამტვირთველისათვის (NEW HOLLAND, სახ. ნომ. LL280X, გამ. წ. 2013) საპოხი მასალის შესყიდვა. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, შესყიდვის საშუალებაა გამარტივებული შესყიდვა.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1

#	დასახელება	CPV კოდი	ბ/ე	რაოდენობა	ერთ. ფასი	მთ. ფასი
1	ზეთი SHELL RIMULA R4 X 15W40 20L	09211100	ლ	50	12	600
	მთლიანი ღირებულება ყველა გადასახადის ჩათვლით					600

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებაა – **600 (ექვსასი)** ლარი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადით.

5.2 მიწოდების ადგილი - გორი, შინდისის გზატ., #2

5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

6.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირია 14.2 პუნქტში მითითებული პირი.

„შემსყიდველი"

„მიმწოდებელი"

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

7.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან მოხდება საქონლის მოწოდების და სათანადო დოკუმენტაციის ხელმოწერიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

9.6 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

„შემსყიდველი"

„მიმწოდებელი"

9.7. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2. შესყიდვის ობიექტის ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს **მექანიზაციის სპეციალისტი გიორგი ჩლაჩიძე.**

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“

15. სხვა პირობები

15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად (საიდანაც ორი რჩება შემსყიდველთან, ხოლო ერთი მიმწოდებელთან), რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. ინტერესთა კონფლიქტი

16.1 შემსყიდველის სახელით ხელმოწერით ასევე ვადასტურებ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად არ ვიმყოფები ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

17. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
ა(ა)იპ "გორის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლების სისტემების რეგულირების და გარე განათების უზრუნველყოფის სამსახური"	შპს „თეგეტა მოტორსი“
ს/კ 418465315	ს/კ 202177205
სახელმწიფო ხაზინა	ბანკი: სს "თიბისი ბანკი"
კოდი : TRESGE22	ბანკის კოდი : TBCBGE22
ა/ა GE24NB0330100200165022	ა/ა GE80TB0600000024467853
იურიდიული მისამართი: გორი, გრიგოლ ფერაძის ქ., № 5	მის: ქ. თბილისი,დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-12კმ. #5
ფაქტობრივი მისამართი: გორი, ცხინვალის გზატ., მე-5 კმ	მინდობილი პირი, გორის ფილიალის დირექტორი: ვახტანგ ზივზივაძე
დირექტორი ბონდო მარუაშვილი	

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“

მიღება ჩაბარების აქტი № 2003592509

სავაჭრო ობიექტი	
გორი	
თარიღი:	18.09.2017

წინამდებარე აქტით ვადასტურებთ, რომ ააიპ გორის მუნიციპალიტეტის სასმელი-ის (418465315) წარმომადგენელმა მივიღე, ხოლო შპს შპს "თეგეტა მოტორსი"-ს (202177205) წარმომადგენელმა ჩავაბარე შემდეგი დასახელების პროდუქცია, რასაც ვადასტურებთ ხელის მოწერით:

№	პროდუქციის დასახელება	რაოდ	განზ	ერთეულის ღირებულება	ჯამური ღირებულება
1	ზეთი SHELL RIMULA R4 X 15W40 20L	50	ლ	12.00	600.00
				ჯამი	600.00

ააიპ გორის მუნიციპალიტეტის სასმელი-ს წარმომადგენელი
გიორგი ჩლაჩიძე

_____

მძღოლი

შპს "თეგეტა მოტორსი"-ს წარმომადგენელი

_____

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლების სისტემების რეგულირების და გარე განათების უზრუნველყოფის სამსახური

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

თარიღი: 18 სექტემბერი 2017 წელი

მიმწოდებელი: შპს „თეგეტა მოტორსი“ ს/კ 202177205

ხელშეკრულები: N-51

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლების სისტემების რეგულირების და გარე განათების უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები ზემოაღნიშნულ მიმწოდებელთან არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში, რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით:

მექანიზაციის სპეციალისტი

გ.ჩლაჩიძე

იურისტი (შესყიდვები) მთ. სპეციალისტი

გ.ნასყიდაშვილი